



თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

11 მაისი 2010 წელი

თბილისი

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა:

თავმჯდომარე: ლეილა მამულაშვილი
მოსამართლეები: ქეთევან დუგლაძე
ნანა ჭიჭილეიშვილი

სხდომის მდივანი: მარეხი თეთრაული

აპელანტი: ;
წარმომადგენელი: ;

მოწინააღმდეგე მხარე: საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი;
წარმომადგენელი: ;

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ნაწილის) ბათილად ცნობა, ინფორმაციის გაცემა;

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება;

1. აპელანტის მოთხოვნა: გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება მისი მოთხოვნის არ დაკმაყოფილების ნაწილში, ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეციალური აღრიცხვის სამსახურის უფროსის 2009 წლის 15 ოქტომბრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტისათვის ქმედების განხორციელების დავალება,

კერძოდ, გაცეს ინფორმაცია სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა რომელ საპატიმრო დაწესებულებაში იხდის სასჯელს მსჯავრდებული ასევე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სახელმწიფო ბაჟის მთლიანად მისთვის დაკისრების ნაწილში მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება და ამ ნაწილში კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება:

2.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეციალური აღრიცხვის სამსახურის უფროსის 2009 წლის 15 ოქტომბრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. დაევალა მოპასუხეს გაცეს მოსარჩელის 2009 წლის 10 სექტემბრის განცხადებით მოთხოვილი ინფორმაცია: დღეის მდგომარეობით მსჯავრდებულები და იხდიან თუ არა სასჯელს, საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საპატიმრო დაწესებულებაში; დანარჩენ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი. მოსარჩელის მიერ სარჩელის აღძვრისას გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 ლარი ჩაითვალა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად. განიმარტა გასაჩივრების წესი და ვადა. (იხ.ს.ფ.79-88).

2.2. დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

2.2.1. 2009 წლის 10 სექტემბერს

განცხადებით მიმართა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრს და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე- 38-ე მუხლების საფუძველზე მოითხოვა ინფორმაციის გაცემა, კერძოდ იმ დღის მდგომარეობით მსჯავრდებულები: და იხდიდნენ თუ არა სასჯელს, საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საპატიმრო დაწესებულებაში. თუ ზემოაღნიშნული პირები პატიმრობიდან გათავისუფლდნენ რის საფუძველზე.

– სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებას – 2009 წლის 10 სექტემბრის განცხადება.

2.2.2. 2009 წლის 10 სექტემბერს

განცხადებით მიმართა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრს და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე მუხლების საფუძველზე მოითხოვა ინფორმაციის გაცემა,

კერძოდ, დღეის მდგომარეობით საქართველოს სასაჯელაღსრულების დეპარტამენტის რომელ საპატიმრო დაწესებულებაში იხდის სასჯელს მსჯავრდებული

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს – 2009 წლის 10 სექტემბრის განცხადება.

2.2.3. საქართველოს სასაჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასაჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეციალური აღრიცხვის სამსახურის უფროსის 2009 წლის 15 ოქტომბრის წერილით (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) განემარტა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მის მიერ 2009 წლის 10 სექტემბრის განცხადებით მოთხოვილი ინფორმაცია არ განეკუთვნებოდა საჯარო ინფორმაციის კატეგორიას.

– სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებას: საქართველოს სასაჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასაჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეციალური აღრიცხვის სამსახურის უფროსის 2009 წლის 15 ოქტომბრის წერილი (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი).

2.2.4. საქართველოს სასაჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასაჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეციალური აღრიცხვის სამსახურის უფროსის 2009 წლის 15 ოქტომბრის წერილით (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) განემარტა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მის მიერ 2009 წლის 10 სექტემბრის განცხადებით მოთხოვილი ინფორმაცია არ განეკუთვნებოდა საჯარო ინფორმაციის კატეგორიას.

– სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებას: საქართველოს სასაჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასაჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეციალური აღრიცხვის სამსახურის უფროსის 2009 წლის 15 ოქტომბრის წერილი (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი).

2.3. დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

2.3.1. საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, სიტყვისა და გამოხატვის შესახებ საქართველოს კანონი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, პატიმრობის შესახებ საქართველოს კანონი, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი

2.3.2. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22.1. მუხლის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით, ხოლო ამავე კოდექსის 24-ე მუხლის მიხედვით, ასევე ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

2.3.3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1.„დ“ მუხლის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი.

სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეციალური აღრიცხვის სამსახურის უფროსის 2009 წლის 15 ოქტომბრის წერილი წარმოადგენდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

2.3.4. საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზოგადი პრინციპი კონკრეტიზირებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით („ინფორმაციის თავისუფლება“). აღნიშნული თავის 28-ე მუხლი იმეორებს კონსტიტუციურ ნორმას, რომ საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. თავის მხრივ, საჯარო ინფორმაციის ლეგალურ დეფინიციას იძლევა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, სქემა, ელექტრონული ინფორმაცია...) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულებაში ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.

2.3.5. სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 3.4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე, რომელიც ადგენს, რომ ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს მიერ გამოტანილი და

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან. სასამართლო განმარტებით ხსნებულ ნორმის შესაბამისად, ინფორმაცია, რომელიც მსგავსი შინაარისაა, საჯაროობას არ ექვემდებარება. ამასთან, მნიშვნელოვანია გაირკვეს, რომ მასში ჩამოთვლილი ინფორმაცია მიეკუთვნება თუ არა სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას, რომლის გაცემის შეზღუდვის შესაძლებლობასაც ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი.

2.3.6. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის შესაბამისად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით. სასამართლოს მოსაზრებით კონსტიტუციის აღნიშნული მუხლი განამტკიცებს ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების, საკუთარი მოსაზრების გამოთქმისა და გავრცელების უფლებას ნებისმიერი საშუალებით. ამ უფლების განხორციელება, ძირითადად თვითონ უფლებამოსილი სუბიექტის აქტივობაზეა დამოკიდებული. სახელმწიფოს ამ შემთხვევაში, მხოლოდ ის ვალდებულია აკისრია, რომ ხელი არ შეუშალოს პირს, მიიღოს ინფორმაცია. სასამართლო ასევე მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 24.4. მუხლზე, რომელიც განსაზღვრავს, რომ ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიალური მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ინფორმაციის მიღების უფლება არ წარმოდგენდა აბსოლუტურ უფლებას და შეიძლება შეიზღუდოს საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე. რამდენად გამართლებულია ინფორმაციის მიღების თავისუფლებაში ხელისუფლების მხრიდან ჩარევა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს.

2.3.7. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე მიერ მოთხოვილი ინფორმაცია – დღეის მდგომარეობით მსჯავრდებულები და იხდიან თუ არა სასჯელს, საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საპატიმრო დაწესებულებაში არ განეკუთვნებოდა ინფორმაციის ისეთ კატეგორიას, რომლის გაცემა შეიძლებოდა შეიზღუდოს საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე. მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მოპასუხემ 2009 წლის 28 ოქტომბერს მიერ მოთხოვილი ინფორმაციის მის ვებგვერდზე გამოქვეყნებით, თავად უზრუნველყო ხსენებული ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა.

2.3.8. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37.1 მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი

ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა. ზოლო ამავე საკანონმდებლო აქტის 38-ე მუხლი ავალდებულებს საჯარო დაწესებულებას უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა.

2.3.9. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.1. მუხლის შესაბამისად, ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შესახებ თუ ადმინისტრაციული აქტი ეწინააღმდეგება კანონს და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მას. ამავე საკანონმდებლო აქტის 33¹ მუხლის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებს, განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან.

2.3.10. აღინიშნა, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები რეგლამენტირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლით, რომლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეციალური აღრიცხვის სამსახურის უფროსის 2009 წლის 15 ოქტომბრის №10/615-15834 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი, მოპასუხის უარი ქმედების განხორციელებაზე ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კანონმდებლობას, ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებდა მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს და უკანონოდ ზღუდავდა მას. მოპასუხეს დაევალა გასცეს მოსარჩელის 2009 წლის 10 სექტემბრის განცხადებით მოთხოვილი ინფორმაცია: დღეის მდგომარეობით მსჯავრდებულები და იხდიან თუ არა სასჯელს, საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საპატიმრო დაწესებულებაში.

2.3.11. საქართველოს კონსტიტუციის 41.1. მუხლის თანახმად, საქართველოს ყოველი მოქალაქე უფლებამოსილია, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს

სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, ასევე სახელმწიფო დაწესებულებაში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

2.3.12. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი იცავს სხვათა იდეების მოპოვებას, დამუშავებასა და შემდგომ გადაცემას. ხსენებული მუხლის შესაბამისად, პიროვნებას აქვს იდეების და ცნობების მიღების უფლება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე. საქართველოს კონსტიტუცია ინფორმაციის თვისუფლების უზრუნველყოფის მეტ გარანტიას იძლევა და სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ ვალდებულებას, ხელი არ შეუშალოს პიროვნებას ინფორმაციის მიღებაში, არამედ პოზიტიურ ვალდებულებას – გასცეს მის ხელთ არსებული ინფორმაცია. საქართველოს კონსტიტუცია მხოლოდ იმ შემთხვევაში ზღუდავს აღნიშნულ უფლებას თუ მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ასევე დაიცავს პრესის თავისუფლებას. ცნობილია, რომ გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებაში სახელმწიფოს წარმოეშობა პოზიტიური ვალდებულებანი ვინაიდან მიჩნეულია, რომ ამ თავისუფლების რეალური და ეფექტიანი განხორციელებისათვის ყოველთვის საკმარისი არ არის სახელმწიფოს მიერ იმ ვალდებულების შესრულება, რომ თავი შეიკავოს მასში ჩარევისაგან. ევროპული სასამართლოს აზრით, ამისათვის ზოგჯერ შეიძლება აუცილებელი გახდეს სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი პოზიტიური ღონისძიებების გატარებაც. ამასთან, იმის გასარკვევად წარმოეშობა თუ არა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება შესაბამის შემთხვევაში, მხედველობაში მიიღება პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს კონვენციას, კერძოდ – პრინციპი სამართლიანი ბალანსისა, რომელიც უნდა მიღწეულ იქნეს საჯარო ინტერესებისა და ინდივიდის ინტერესებს შორის.

2.3.13. სასამართლო განმარტებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავი შეიცავს ინფორმაციის ჩამონათვალს, რომელიც შეიძლება საიდუმლოდ იქნეს მიჩნეული. სასამართლო დაუბრუნდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 3.4 მუხლის „გ“ ქვეპუნტს, რომელითაც დადგენილია, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან.

2.3.14. „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პირადი საიდუმლოების მქონე ინფორმაცია, რომლის საიდუმლოების დაცვასაც მოითხოვს კანონი, აგრეთვე ყველა ის ინფორმაცია და გარემოება, რომელთან დაკავშირებითაც ადამიანს აქვს კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობის გონივრული მოლოდინი. ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ ინფორმაცია არ წარმოადგენს პირად საიდუმლოებას. ამდენად, კანონმდებელმა მესამე პირის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ინტერესებთან მიმართებით დაადგინა რა ადამიანის პირადი საიდუმლოების დაცვის გარანტიები, იმავდროულად დააკონკრეტა, რომ თვით ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ ინფორმაცია არ წარმოადგენს პირად საიდუმლოებას, რაც არ გამორიცხავს იმ გარემოებას, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დაიცვას მასთან არსებული პერსონალური ინფორმაცია.

2.3.15. „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე პატიმრობასთან, როგორც სასჯელის ღონისძიების აღსრულებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს პატიმრობის აღსრულების ორგანოთა სისტემას და სტრუქტურას, აღსრულების პრინციპებსა და წესებს, პატიმართა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს. ხსენებული კანონის მე-2 მუხლი ადგენს, რომ ამ კანონით დადგენილი წესით აღსრულდება პატიმრობასთან დაკავშირებული და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი, განჩინება, დადგენილება და მოსამართლის ბრძანება, აგრეთვე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება. თავისუფლება აღკვეთილი მსჯავრდებულები, როგორც წესი, სასჯელს იხდიან საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. ამავე საკანონმდებლო აქტის მე-18 მუხლის მიხედვით, თავისუფლება აღკვეთილი მსჯავრდებულები, როგორც წესი, სასჯელს იხდიან საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. ხოლო მე-19 მუხლი ადგენს, რომ თავისუფლების აღკვეთის აღსრულებისა და მოხდის რეჟიმს განსაზღვრავს დეპარტამენტის თავმჯდომარე კანონით დადგენილი წესით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვილი ინფორმაცია კერძოდ, სასაჯელაღსრულების დეპარტამენტის რომელ საპატიმრო დაწესებულებაში იხდის სასჯელს მსჯავრდებული, განეკუთვნებოდა ზაკ-ის 3.4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გასაზღვრულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას. ხსენებული ნორმის შესაბამისად, ინფორმაცია, რომელიც მსგავსი შინაარსის გახლდათ, საჯაროობას არ ექვემდებარებოდა და უნდა გარკვეულიყო, ინფორმაცია მიეკუთვნება თუ არა სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას, რომლის გაცემის შეზღუდვის შესაძლებლობასაც ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი. სასამართლომ მოუხმო საქართველოს კონსტიტუციის 41.2 მუხლს, რომელიც ადგენს, რომ ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ

პირის თანხმობის გარეშე. ამდენად, სასამართლო მიიჩნია, რომ ინფორმაცია მასზედ, თუ სასჯელალსრულების დეპარტამენტის რომელ დაწესებულებაში იხდის გარკვეული პატიმარი სასჯელს, გააზრებული უნდა იქნეს როგორც ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც გასაკუთრებით მგრძობიარე მონაცემთა კატეგორიას განეკუთვნება და მოიცავს „სხვა კერძო“ საკითხებს. ამდენად, სასამართლომ გაზიარა მოპასუხის განმარტება და მიიჩნია, რომ სრულიად მისაღები და მართებული გახლდათ, მესამე პირთათვის შეზღუდული იყოს ასეთი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და სარგებლობა, თუნდაც პრესისთვის. ხსენებული ინფორმაციის შეზღუდვის ნათელი მაგალიათი გახლდათ „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლიც, რომელიც სასჯელალსრულების დაწესებულების ადმინისტრაციას ავალდებულებს სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოთავსების შესახებ აცნობოს განაჩენის გამომტან სასამართლოს და მხოლოდ მსჯავრდებულის ოჯახს. ამდენად, ცალსახა გახლდათ, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვილი ინფორმაცია ექვემდებარებოდა დაცვას საქართველოს კონსტიტუციის 41.2. მუხლის საფუძველზე. შესაბამისად, საკვებით ნათელი იყო კანონმდებლის ნება და მიზანი – უზრუნველყო პატიმრის კერძო სფეროს მიკუთვნებული საკითხების ამსახველი მონაცემების დაცვა განხმაურებისაგან.

2.3.16. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹.2. მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹.2. მუხლი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობას უკავშირებს, მხოლოდ ისეთ პროცედურულ დარღვევას, რომლის არარსებობის შემთხვევაში მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. ადმინისტრაციული აქტის გამოცემა პროცედურული დარღვევით მიღება ყოველთვის არ იწვევს ამ აქტის ბათილობას.

2.3.17. სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება მასზედ, რომ გასაჩივრებული აქტი არ შეიცავდა ზაკ-ის 52.2 მუხლისა და 53.1 მუხლის მოთხოვნებს, თუმცა მიიჩნია, რომ აღნიშნული არ წარმოადგენს კანონის ისეთ დარღვევას, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. შესაბამისად, სარჩელის მოთხოვნა საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელალსრულების დეპარტამენტის სპეციალური აღრიცხვის სამსახურის უფროსის 2009 წლის 15 ოქტომბრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და მოპასუხისათვის ინფორმაციის გაცემის კერძოდ, დღეის მდგომარეობით საქართველოს სასჯელალსრულების დეპარტამენტის რომელ საპატიმრო დაწესებულებაში იხდის სასჯელს მსჯავრდებული

დავალდებულების საფუძველი არ არსებობდა და სარჩელი ამ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

2.3.18. სასამართლო ხარჯების საკითხი გადაწყდა შემდეგნაირად: საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55.2 მუხლის თანახმად, თუ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მოპასუხე გათავისუფლებულია სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, სასამართლოს მიერ საქმის განხილავსთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდება მოსარჩელს, რომელიც არ არის გათავისუფლებული სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომლის დაკმაყოფილებაზეც მას ეთქვა უარი. ამავე კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი თანახმად, სასამართლო ხარჯები მოიცავს სახელმწიფო ბაჟს, ხოლო 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ბაჟის ოდენობა შეადგენს დავის საგნის ღირებულების 3%, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა. დადგენილი იქნა, რომ მოსარჩელემ სარჩელის აღძვრისას გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი 100 ლარი, რაც მოცემულ საქმეზე დარჩა უცვლელი.

3. სააპელაციო საჩივრის საფუძველები:

3.1. ფაქტობრივი საფუძველები:

სასამართლომ საჯაროდ მიიჩნია ინფორმაცია, იხდიან თუ არა საჯელს მსჯავრდებულები და , ხოლო საჯაროდ არ მიიჩნია ინფორმაცია, თუ რომელ დაწესებულებაში იხდის სასჯელს მსჯავრდებული . გადაწყვეტილება არის წინააღმდეგობრივი.

3.2. სამართლებრივი საფუძველები:

გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძველიანობის შემოწმება შეუძლებელია. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 3.4., „ბ“ მუხლი; საქართველოს კონსტიტუციის 41-ე, 24-ე მუხლები; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე

”; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე და 55.2. მუხლები.

4. გადაწყვეტილების გასაჩივრებული ნაწილის უცვლელად დატოვების დასაბუთება:

4.1. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2. მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი ადმინისტრაციულ

სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

4.2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377.1. მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით.

სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველი დავის შემთხვევაში აპელანტი სადაოდ ხდის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებას იმ ნაწილში, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და დანარჩენ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი, აგრეთვე იმ ნაწილში, რომლითაც მოსარჩელის მიერ სარჩელის აღძვრისას გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 ლარი ჩაითვალა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად. საგულისხმოა, რომ გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეციალური აღრიცხვის სამსახურის უფროსის 2009 წლის 15 ოქტომბრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაევალა მოპასუხეს გასცეს მოსარჩელის 2009 წლის 10 სექტემბრის განცხადებით მოთხოვილი ინფორმაცია: დღეის მდგომარეობით მსჯავრდებულები და იხდიან თუ არა სასჯელს – მხარეებს სადაოდ არ გაუხდიათ და სააპელაციო ინსტანციაში წინამდებარე დავის განხილვის მომენტისათვის შესულია კანონიერ ძალაში.

4.3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390.3.,„გ” მუხლის შესაბამისად, ეთანხმება და იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებას და დასკვნას სადაოდ გადაწყვეტილების გასაჩივრებული ნაწილის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მიუთითებს მათზე და დამატებით აღნიშნავს, შემდეგს:

ფაქტობრივი დასაბუთება:

4.4. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს განცხადებით მიმართა და მოითხოვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და 38-ე მუხლების საფუძველზე მიეცათ მისთვის ინფორმაცია, იმ დღის მდგომარეობით, საქართველოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რომელ საპატიმრო დაწესებულებაში იხდიდა სასჯელს მსჯავრდებული (იხ.ს.ფ. 21).

4.5. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეციალური აღრიცხვის სამსახურის 2009 წლის 15 ოქტომბრის წერილით,

ეცნობა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მის მიერ 2009 წლის 10 სექტემბერს მოთხოვნილი ინფორმაცია არ წარმოადგენდა საჯარო ინფორმაციას. (იხ.ს.ფ. 23).

4.6. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეციალური აღრიცხვის სამსახურის 2009 წლის 15 ოქტომბრის წერილზე (ადმინისტრაციული აქტი) 2009 წლის 29 ოქტომბერს შეტანილი იქნა ადმინისტრაციული საჩივარი,

მიერ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარესთან, გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის, ქმედების განხორციელების დავალებისა და პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების მოთხოვნით. (იხ.ს.ფ. 24-32).

4.7. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 10.11.2009 წლის წერილით

, მისსავე 2009 წლის 29 ოქტომბრის საჩივართან დაკავშირებით, ეცნობა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნული კოდექსით დადგენილი ნორმები არ ვრცელდებოდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ისეთ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მისი საჩივარი განხილული ვერ იქნებოდა. (იხ.ს.ფ. 33).

4.8. სააპელაციო ინსტანციაში, სასამართლოს დავალების საფუძველზე წარმოდგენილი საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 05.05.2010 წლის წერილის თანახმად, ინფორმაცია, თუ „სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რომელ დაწესებულებაში იხდის სასჯელს მსჯავრდებული არ არის შეტანილი საჯარო ინფორმაციის საჯარო რეესტრში. (იხ.ს.ფ. 132; 136).

4.9. საქმის ფურცელ 34-ზე განთავსებული საგადასახადო დავალების (თარიღი 18/12/2009) თანახმად,

მიერ გადახდილი იქნა სახელმწიფო ბაჟი 100 (ასი) ლარი სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე. (იხ.ს.ფ. 34)

სამართლებრივი დასაბუთება:

4.10. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37.1. მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული ასლი.

4.11. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 38-ე მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა. დაუშვებელია დაწესდეს რაიმე სახის საფასური საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის, გარდა ასლის გადაღებისათვის აუცილებელი თანხის ანაზღაურებისა.

4.12. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 35-ე მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია შეიტანოს ამ დაწესებულებაში არსებული საჯარო ინფორმაცია საჯარო რეესტრში. საჯარო რეესტრში შეტანილი უნდა იქნეს საჯარო ინფორმაციაზე მითითება მისი მიღებიდან, შექმნიდან, დამუშავებიდან ან გამოცემიდან 2 დღის ვადაში საჯარო ინფორმაციის დასახელების, მიღების, შექმნის, დამუშავების, გამოცემის თარიღის, იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის, საჯარო მოსამსახურის, საჯარო დაწესებულების დასახელების მითითებით, რომლისგანაც შემოვიდა ან/და ან რომელსაც გაეგზავნა ეს ინფორმაცია.

4.13. „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის (ძალადაკარგულია 2010 წლის 01 ოქტომბრიდან, საქართველოს - კანონით) 21.2. მუხლით, სასჯელადსრულების დაწესებულების ადმინისტრაცია მოვალეა განაჩენის გამომტან სასამართლოს და მსჯავრდებულის ოჯახს დაუყოვნებლივ აცნობოს მსჯავრდებულის სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოთავსების შესახებ.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, საჯარო დაწესებულებაში არსებული ყველა სახის ინფორმაცია არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას და საჯარო ინფორმაციას განეკუთვნება, მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 35-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო დაწესებულების მიერ სავალდებულო წესით შეიტანება ამ დაწესებულებაში არსებულ საჯარო ინფორმაციის საჯარო რეესტრში.

სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21.2. მუხლით, იმპერატიულად განისაზღვრა იმ პირთა წრე (ფიზიკური, იურიდიული), რომელთა მიმართაც სასჯელადსრულების დაწესებულებას ეკისრება ვალდებულება მიაწოდოს ინფორმაცია მსჯავრდებულის სასჯელადსრულების კონკრეტულ დაწესებულებაში მოთავსების თაობაზე.

4.14. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება წარმოებს სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით: სარჩელზე, ამავე კოდექსის 39.1-ე მუხლით,

სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს: ამ კოდექსის 38-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში – დავის საგნის ღირებულების 3 პროცენტს, მაგრამ არანაკლებ 100 ლარისა;

4.1.5. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55.2. მუხლის თანახმად, თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, ხოლო მოპასუხე განთავისუფლებულია სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდება მოსარჩელეს, რომელიც არ არის განთავისუფლებული სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, სასარჩელო მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომლის დაკმაყოფილებაც მას უარი ეთქვა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან განსახილველი დავის შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელის მიერ სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი იქნა 100 (ასი) ლარი, რაც წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადასახდელი თანხის მინიმალურ ოდენობას, ხოლო მოპასუხე „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.„უ“ მუხლის თანახმად, გათავისუფლებულია საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ამდენად, სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, მინიმალური ოდენობის (არანაკლებ 100 ლარისა) მოსარჩელისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად ჩათვლა არის კანონშესაბამისი.

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა:

5.1. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლო უსაფუძვლობის გამო ვერ გაიზიარებს აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარში გამოთქმულ მოსაზრებებს სადაო გადაწყვეტილების გასაჩივრებული ნაწილის ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით და თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დავა არსებითად სწორად გადაწყვიტა, შესაბამისად, უსაფუძვლობის გამო არ უნდა დაკმაყოფილდეს აპელანტის სააპელაციო საჩივარი და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში

6. საპროცესო ხარჯები:

6.1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39.1.„ბ“ მუხლის შესაბამისად, აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 150 (ას ორმოცდაათი) ლარი, ჩაითვლება სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილად.

7. სარეზოლუციო ნაწილი:

7.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2.; მე-12 მუხლებით და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე; 372-ე; 377.1-ე; 383-ე; 386-ე; 389-ე; 391-ე; 395-ე; 397-ე მუხლებით, და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. აპელანტს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში;
3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაეს სასამართლოში მდებარე ქალაქ თბილისის ძმები ზუბალაშვილების ქუჩა №32, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით (თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი №7ა), მხარისათვის განჩინების ასლის გადაცემის მომენტიდან ერთი თვის ვადაში;
4. განჩინების ასლი გადაეგზავნოთ მხარეებს.

თავმჯდომარე:  ლეილა მამულაშვილი

მოსამართლეები:  ქეთევან დუგლაძე

 ნანა ჭიჭილეიშვილი